მატჩი ლესელიძეში

ლესელიძე, 20 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს აქ შედგა წინასასეზონო საგაზაფხულო ტურნირის მატჩი თბილისის "დინამოსა" და ქუთაისის "ტორპედოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებს შორის.

თბილისელთა უპირატესობა საგრძნობი იყო პირველ ტაიმში, რომელიც მათ მოიგეს ანგარიშით 3:0. შესვენების შემდეგ ტორპედოელებმა გამოასწორეს თამაში, თუმცა მეოთხე ბურთი მიიღეს თავიანთ კარში. ამ მატჩში 2 გოლი გაიტანა ყიფიანმა, თითო – წერეთელმა და ჩელებაძემ.

მეტოქეთა შემადგენლობები ამ დღეს ასეთი იყო: "დინამო" – გაბელია, ხიზანიშვილი, ჭილაია, ქორიძე, კოსტავა, მ. მაჩაიძე, გ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი, წერეთელი, ყიფიანი, ჩელებაძე: "ტორპედო": ი. კვერნაძე, სულაქველიძე, ოქროპირაშვილი, სარიშვილი, მელიქია, ფარულავა, ქვირია, შელია, ფესტვენიძე, მ. კვერნაძე, ჩახუნაშვილი.

”ლელო” 22 თებერვალი 1977 წ.